ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
#MDF/D/G/010-2016

ქ. თბილისი 24 თებერვალი 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2 `მიმწოდებელი~ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3 `ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
2.1 ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ჯუანშერ ბურჭულაძის სახით და მეორეს მხრივ **მშენებლობის შემფასებელთა კავშირი** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი კავშირის პრეზიდენტის მარინა ხოფერიას სახით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

3. ხელშეკრულების საგანი
3.1 ხელშეკრულების საგანია საკუთარი სახსრების ფარგლებში <u>სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის (2016 წლის ყოველკვარტალური გამოცემა) ოთხი გამოცემის ორ-ორი ეგზემპლარის</u> გამარტივებული შესყიდვა (სულ 8 წიგნი). მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 240 (ორას ორმოცი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").
3.2 ქვეკატეგორიის კოდი: CPV 22473000 - ტექნიკური სახელმძღვანელო წიგნი.

4. შესყიდვის ობიექტის ფასები
4.1 გამოცემის ერთეულის ფასი მიწოდებისა და მიმწოდებლისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და მოსაკრებელის ჩათვლით შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

5. საქონლის მიწოდების პირობები
5.1 საქონელი შემსყიდველს მიეწოდება ყოველკვარტალურად, გამოცემიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.
5.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #150 (სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
6.2.შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი **ზაზა ჩიკვაიძე.**

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

7.4.ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან სასაქონლო ზედნადებისა წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

8.1.2. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

8.1.3.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც
დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში
უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც
დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2 ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები

16.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ბ-ნი დავით გოგლიძე.
16.2. წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
16.2.1.მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
16.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
16.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
18.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან" ერთი ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან''.

"შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	მშენებლობის შემფასებელთა კავშირი
განვითარების ფონდი	ს/კ: 205004243
ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N150	ქ.თბილისი, ზ. ჭავჭავაძის #5
სახელმწიფო ხაზინა;	ტელ: 295 95 88
ხაზინის ერთიანი ანგარიში;	ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22;	ბანკის კოდი: BAGAGE 22
	ა/ა: GE46BG00 0000 0348 3555 00
ჯუანშერ ბურჭულაძე	მარინა ხოფერია
აღმასრულებელი დირექტორი	კავშირის პრეზიდენტი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 24 თებერვალი 2016 წ.

ვადასტურებთ, რომ **მშენებლობის შემფასებელთა კავშირის** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი

ჯუანშერ ბურჭულაძე ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის უფროსი

ირაკლი ფარესიშვილი ----------

პროექტების შეფასების სამსახურის უფროსი

პაატა იაკობაშვილი ----------

პროექტების შეფასების სამსახურის
ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი
ზაზა ჩიკვაიძე ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი

ნესტორ ფაცაცია ----------

630-მ-3-201602231131

N 630-მ 23/02/2016

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ჯუანშერ,

პროექტების შეფასების სამსახურის მიერ ფონდში შემოსული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის უკეთ შემოწმების და შემდგომში ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების უკეთ წარმართვის მიზნით, გთხოვთ თანხმობას, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შეძენილ იქნას „სამშენებლო რესურსების ფასთა კრებული“, რომელიც პერიოდულად (კვარტალურად) გამოიცემა მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ.

დანართის სახით წარმოგიდგენთ მშენებლობის შემფასებელთა კავშირის რეკვიზიტებს.

პატივისცემით,

პაატა იაკობაშვილი

სამსახურის უფროსი

პროექტების შეფასების სამსახური